

აეროპორტის ინციდენტი – რუსეთის მოქალაქემ მომწამვლელი ნივთიერება პირადი შურისძიების მოტივით გაუშვა



პროკურორ მანია სილაგაძის ინფორმაციით, რუსეთის მოქალაქემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მომწამვლავი ნივთიერება პირადი შურისძიების მოტივით გაუშვა.

“თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 2018 წლის 2 ივლისს, რუსეთის ფედერაციის მოქალაქემ გაასხურა ერთ-ერთ ოფისში მომწამვლელი ნივთიერება გაზი. მისი მიზანი იყო, დაზიანება მიეყენებინა ერთ-ერთი ნაცნობისთვის. ქარი როდესაც ოფისში შევიდა, აღმოაჩინა, რომ გარკვეული სითხე იყო დაღვრილი, რის შემდეგაც შესაბამისი სამსახურებმა დროული რეაგირება მოახდინეს. მიუხედავად ამისა, აეროპორტის თანამშრომლებს ჰქონდათ კონტაქტი ამ ნივთიერებასთან და მიიღეს დაზიანებები.

დანიშნულია სამედიცინო სასამართლო ექსპერტიზა და განისაზღვრება ამ თანამშრომლების დაზიანების ხარისხი. უმეტესი ნაწილი დროულად განერეს საავადმყოფოებიდან. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დაკავებულს ბრალად წარდგენილი აქვს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მცდელობა ისეთი საშუალებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აღკვეთის ღონისძიების სახით მოვითხოვთ პატიმრობას ბრალდებულის მიმართ” – აღნიშნა პროკურორმა.

2 ივლისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე

დააკავეს.

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების საინფორმაციო სამსახურის უფროსის, გიორგი გოგრიძის ინფორმაციით “აეროფლოტის” თანამშრომელმა ოფისში უსიამოვნო სუნი შენიშნა და ტექნიკური გჭუფი გამოიძახა. თბილისის აეროპორტში მონამდური ერთი ადამიანი კვდავ საავადმყოფოში რჩება. სურ დაშავებუდია 8 ადამიანი.